

დანართი №2

2014 წლის 13 ოქტომბერს გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ კ.ნ. №08-14 (CMR 140158543) ხელშეკრულებაზე

თბილისი

11.12.2015

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის მოადგილის მაია ქალიაშვილის სახით, შემდგომში შემსყიდველი, ერთი მხრივ და შპს საპროექტო - საკვლევადიებო ინსტიტუტი „ტრანსპროექტი“, წარმოდგენილი მისი დირექტორის ტალი ტალიაშვილის სახით, შემდგომში მიმწოდებელი, მეორე მხრივ, შემსყიდველი ორგანიზაციის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის - საავტომობილო გზების ტექნიკური პოლიტიკის სამმართველოს 2015 წლის 10 დეკემბრის №8708-2 მოხსენებითი ბარათის და ხელშეკრულების მე-14 მუხლის 14.6 პუნქტის საფუძველზე, ვთანხმდებით შემდეგზე:

1. შევიდეს ცვლილება საავტომობილო გზების და ხელოვნური ნაგებობების რეაბილიტაციის სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო და სატენდერო დოკუმენტაციის შედგენაზე მომსახურების გაწევისა და ცალკეულ ობიექტებზე, საჭიროების შემთხვევაში, საავტორო ზედამხედველობის გაწევის საპროექტო მომსახურების შესახებ მხარეთა შორის 2014 წლის 13 ოქტომბერს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ კ.ნ. N08-14 ხელშეკრულებაში და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის დასრულების ვადად 2015 წლის 15 დეკემბრის ნაცვლად განისაზღვროს 2016 წლის 15 იანვარი.

2. აღნიშნული ცვლილების გათვალისწინებით ხელშეკრულების მოქმედების ვადა გაგრძელდეს 2016 წლის 15 თებერვლის ჩათვლით.

3. ზემოხსენებული ცვლილებები იგულისხმება ხელშეკრულების ყველა იმ ნაწილში, სადაც მითითებულია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ კ.ნ. N08-14 ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების გაწევისა და ხელშეკრულების მოქმედების ვადები.

4. მიმწოდებელი ვალდებულია, 2016 წლის 10 თებერვლამდე განაახლოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის არსებული უპირობო საბანკო გარანტია. განახლებული უპირობო საბანკო გარანტია უნდა მოქმედებდეს 2016 წლის 17 მარტის ჩათვლით. საბანკო გარანტიის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია, აამოქმედოს არსებული უპირობო საბანკო გარანტია სრულად და ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

5. დანართი ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს ხელშეკრულების მოქმედების ვადით.

6. წინამდებარე დანართი წარმოადგენს პირველ პუნქტში აღნიშნული ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს, განიხილება მის სხვა პირობებთან ერთად და ხელშეკრულების ყველა სხვა მუხლი და პირობა რჩება უცვლელი.

7. დანართი შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად.

შემსყიდველი  
დეპარტამენტის  
თავმჯდომარის მოადგილე  
მაია ქალიაშვილი

მიმწოდებელი  
შპს საპროექტო - საკვლევადიებო  
ინსტიტუტი „ტრანსპროექტი“  
დირექტორი  
ტალი ტალიაშვილი

Handwritten signatures and official seals of the State Procurement Department and the contractor, TSPS "Transproject".